ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

№ 4-11/0369-20

"04" 03 2020 წ.

დადგენილება №000131
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ

04.03.2020წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ მამუკა ჯაფარიძემ განვიხილე, 2019 წლის 26 დეკემბრის №000131 მითითება და 2020 წლის 27 იანვრის №000131 შემოწმების აქტი შედგენილი, შ.პ.ს. „მაგთიკომი"-ს (ს/ნ 204876606; მის: ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №7) მიმართ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.ა." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, ქუჩა პეკინის №4-ში (ს/კ №01.10.17.011.027), შ.პ.ს. „მაგთიკომი"-ს მიერ, განხორციელდა არსებული შენობის სახურავზე ანძების მოწყობა, ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.ჰ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 2 ივლისის №243610 გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნების დარღვევით.

სამსახურის სპეციალისტის მიერ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ, 2019 წლის 26 დეკემბერს შედგენილ იქნა მითითება №000131, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 30 დღიანი ვადა შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის წარმოსადგენად ან დემონტაჟის განსახორციელებლად, უსაფრთხოების წესების დაცვით.

2020 წლის 27 იანვარს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 124-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სამსახურის სპეციალისტის მიერ, შედგა შემოწმების აქტი №000131, რომლითაც დაფიქსირდა მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა.

2020 წლის 6 თებერვალს, მოცემულ საქმესთან დაკავშირებით, გაიმართა საქმის განხილვა. საქმის განხილვის თარიღის შესახებ სათანადო წესით ეცნობა მხარეს. სხდომაზე გამოცხადდა შ.პ.ს. „მაგთიკომი"-ს წარმომადგენელი მოქ. ბექარ ჯობაძე (პ/ნ 01030028485; მინდობილობა გაცემული 2020 წლის 5 თებერვალს), რომელმაც დაადასტურა მითითებისა და შემოწმების აქტის ჩაბარება და განაცხადა, რომ სამშენებლო სამუშაოები განხორციელებულია შ.პ.ს. „მაგთიკომი"-ს მიერ. მხარემ აღნიშნა, რომ აპირებს დარღვევების გამოსწორებას დოკუმენტაციის მოწესრიგების გზით, რისთვისაც ითხოვა მაქსიმალური ვადა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ, 2020 წლის 4 მარტს, ობიექტის ხელმეორედ გადამოწმების შედეგად შედგენილი მოხსენებითი ბარათით დადგინდა, რომ შ.პ.ს. „მაგთიკომი"-ს მიერ, შესრულებულ იქნა 2019 წლის 26 დეკემბრის №000131 მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნები, კერძოდ ობიექტი მოყვანილია ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 2 ივლისის №243610 გადაწყვეტილებით შეთანხმებულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში. საქმეშია ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შ.პ.ს. „მაგთიკომი"-ს მიერ, გამოსწორებულ იქნა სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ ქ. თბილისში, ქუჩა პეკინის №4-ში (ს/კ №01.10.17.011.027), ობიექტი მოყვანილ იქნა ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 2 ივლისის №243610 გადაწყვეტილებით დადასტურებულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით; საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 125-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ" ქვეპუნქტით **დავადგინე:**

1. შეწყდეს სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება შ.პ.ს. „მაგთიკომი"-ს მიმართ.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, უ. შარტავას ქ. №7).

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე — მამუკა ჯაყელი